შეთანხმება №1 დშ-300114-01

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და შპს „ვნვ და კომპანიას" შორის 2013 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებულ #58-091013-01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

30 იანვარი, 2014 წ.

ერთის მხრივ, სს **"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** (შემდეგ – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში **ირაკლი ჩხაიძის** სახით, რომელიც მოქმედებს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალური დირექტორის – დავით თვალაბეიშვილის მიერ 2013 წლის 5 თებერვალს გაცემული და ნოტარიუს ნანი სიდამონიძის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №130093672) და მეორეს მხრივ **შპს „ვნვ და კომპანია"** (შემდგომში – "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის **ნიკოლოზ კანდელაკის** სახით, იმის გათვალისწინებით, რომ:

- "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის 2013 წლის 9 ოქტომბერს დაიდო №58-091013-01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, (შემდგომში–ხელშეკრულება), რომელიც ითვალისწინებს სს „საქართველოს რკინიგზის" ვაზიანის სადგურთან არსებული სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" კუთვნილი სარკინიგზო ჩიხის მისასვლელი ლიანდაგის რეაბილიტაციის სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის გაწევის შესყიდვას (შემდგომში "მომსახურება")

წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერის გზით შევთანხმდით შემდეგზე:

1. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, გაიზარდოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა და აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულების 9.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

> 9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 28 მარტის ჩათვლით.

2. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებები ამოქმედდეს 2014 წლის 30 იანვრიდან.
3. ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
4. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.
5. შეთანხმება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ს/კ: 206237491 საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა # GE80BG0000000145770000 დირექტორი ფინანსურ საკითხებში ი. ჩხაიძე	"მიმწოდებელი" შპს „ვნვ და კომპანია" მის: ქ. თბილისი, მხატვრის ქ. #2. საიდ. კოდი: 205201841 ტელ: 2 60 08 31; 599 760222. სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ: BAGAGE22 ა/ა GE17BG0000000502444300 დირექტორი ნ. კანდელაკი